წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
რიგგარეშე სხდომის ოქმი №7

ქ.წალენჯიხა 2019 წლის 17 აპრილი

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე თემურ ღვინჯილია

საკრებულოს 30 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 25 დეპუტატი: დარეჯან დადიანი, მაია მიქავა, თენგიზ ფიფია, დალი კვარაცხელია, ცოტნე მესხია, დავით ბელქანია, მანანა ჭანია, ასმათ კვარაცხელია, ვალერიანე კვარაცხელია, გოჩა ლიპარტია, ანზორ ძაძამია, ზურაბ სამუშია, იაგო მიქავა, კახაბერ ჯოლოხავა,დავით ფიფია, ბაკურ სონგულია, ლევან შელია, დათა კუკავა, თეა ხასაია, ბაჩუკი უბილავა, ნონა მიქავა, დათა აკობია, ირაკლი ხარჩილავა, გიორგი აბულაძე.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერი ბესიკ ფარცვანია, მერის პირველი მოადგილე ცოტნე შანავა, მერის მოადგილე სევერიანე შროზია, საკრებულოსა და მერიის თანამშრომლები.

სხდომა დაიწყო: 12:00 სთ.
სხდომა დასრულდა: 12: 50 სთ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი.
საკრებულოს წევრებს წარმოდგენილი სხდომის დღის წესრიგის პროექტის მიმართ შენიშვნა ან დამატება არ დაუფიქსირებიათ.

დღის წესრიგი:

1.წალენჯიხის მუნიციპალიტეტში 2019 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმართველობის პროექტების (ასაშენებელი ახალი და სარეაბილიტაციო ამბულატორიები და სტიქიის შედეგების საპრევენციოდ განსახორციელებელი პროექტები) დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების შესახებ;
მომხსენებელი: **ჯემალ კვარაცხელია**, მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანიზაციისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი

2. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ.
მომხსენებელი: **გელა სალია**, მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი

მოისმინეს: 1. წალენჯიხის მუნიციპალიტეტში 2019 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმართველობის პროექტების (ასაშენებელი ახალი და სარეაბილიტაციო ამბულატორიები და სტიქიის შედეგების საპრევენციოდ განსახორციელებელი პროექტები) დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების შესახებ;

საკითხი წარმოადგინა მერიის ინფრასტრუქტურის,ურბანიზაციის და მშენებლობის სამსახურის უფროსმა ჯემალ კვარაცხელიამ.

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს წევრმა დავით ბელქანიამ აღნიშნა, რომ საკრებულოს წევრები არ არიან ინფორმირებულები თუ რამდენად მიზანშეწონილია ამ პროექტების მოწონება. არ ყოფილა საკრებულოს მაჟორიტარების ჩართულობა პრიორიტეტების პროექტების შერჩევაში.

საკრებულოს წევრმა მაია მიქავამ აღნიშნა, ვის მიერ იქნა ეს პროექტები შერჩეული და რატომ არ მოიცავს ყველა სოფელს.რაზეც მერმა ბესიკ ფარცვანიამ განმარტა, რომ ეს პროექტები შეირჩა პრიორიტეტების მიხედვით.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ დარეჯან დადიანმა აღნიშნა, რომ კოორდინირებული მუშაობის დეფიციტია მერიასა და საკრებულოს შორის.

ქ.ნ დარეჯან დადიანმა მიზანშეწონილად მიიჩნია ქვედა ჯვარში მდებარე ამბულატორიის დამატება სარეაბილიტაციო პროექტებში. რაზეც მუნიციპალიტეტის მერმა განმარტა, რომ ამ ეტაპზე შეუძლებელია ცვლილების შეტანა.

საკრებულოს წევრმა ანზორ ძამამიამ აღნიშნა, რომ სოფ. ეწერის ამბულატორიას აწვიმს და იქნებ მომავალი წლის სარეაბილიტაციო პროექტებში იქნეს გათვალისწინებული.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს სხვა განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ხმათა უმრავლესობით (მომხრე 22 დეპუტატი, წინააღმდეგი 3-გიორგი აბულაძე, ირაკლი ხარჩილავა, დათა აკობია) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N 14 და N15).

მოისმინეს 2. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ.

საკითხი წარმოადგინა მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის, განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა გელა სალიამ.

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს წევრმა ლევან შელიამ აღნიშნა, რომ მერიის სამსახურები ჯეროვნად ვერ ასრულებენ სამუშაოებს ვინაიდან არ ჰყავთ მომსახურე ავტომობილი, თუ რამე ალტერნატივა არსებობს მოხდეს მერიის შესაბამისი სამსახურებისთვის ავტომობილების გადაცემა.

საკრებულოს წევრმა ცოტნე მესხიამ აღნიშნა - „ 2014 წელს საკრებულოს სხდომაზე გატანილი იყო საკითხი - მოძრავი ქონების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის თაობაზე, ერთადერთი ვინც მაშინ არ უჭერდა მხარს ვიყავი მე და ახლაც არ დაუჭერ მხარს“

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ხმათა უმრავლესობით (მომხრე 16 დეპუტატი, წინააღმდეგი 9 - ცოტნე მესხია, დათა კუკავა, დავით ფიფია, ბაკურ სონგულია, ლევან შელია, გიორგი აბულაძე, ირაკლი ხარჩილავა, ბაჩუკი უბილავა, ვალერ კვარაცხელია) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N 16).

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

სხდომის თავმჯდომარე **თემურ ღვინჯილია**